

1950

ეროვნული
სიბრძნის

ბებების შესრულება.

ბიორბი ბეჭაური	178%
მინა ბოჭორიძე	166%
საღა სურხანიშვილი	151%

288
19/11
1



ნახ. ა. პანძელაძისა

სანდო ინისიასობი

— თუ გახსოვს, ლევან, პირველად ვინ დაასახელა გიორგი ბეჭაური დებუტატობას კანდიდატად?
 — როგორ არ მახსოვს, აი, ამ ციფრებმა!

ს ა ნ ა ნ ა

ზაქრო და ნიკო ძველის-ძველი მეგობრები არიან. ტრაქტორისტთა კურსები ერთად დამთავრეს, სამანქანო-სატრაქტორო სადგურში ერთად მუშაობენ, ერთად ჰამენ, ერთად სვამენ და მხოლოდ ღამის რამდენიმე საათი აშორებს ერთმანეთს. ესეც მაშინ, როცა მათ სძინავთ.

მათი მეგობრობის ჩანძილზე მხოლოდ ერთი შემთხვევა მოხდა ისეთი, რომელსაც შეეძლო ზაქრო და ნიკო დაეშორებინა, მაგრამ ესენი ნამდვილი მეგობრები იყვნენ და შემთხვევამ უმსხვერპლოდ ჩაიარა.

ეს ასე მოხდა.

რაკი ორი მეგობარი ერთად მუშაობდა, ერთ საქმეს აკეთებდა, ერთი მისწრაფება ჰქონდათ და ერთი აზრით იყვნენ დაინტერესებული, გემოვნებაც ერთნაირი აღმოჩნდა—ერთი გოგონა შეუყვარდათ.

ერთი გოგონა შეუყვარდათ და რაკი საქმით გართულებს წინასაქორწინო სამიჯნურო ცერემონიალის დრო არ ჰქონდათ, ცალ-ცალკე, ერთიმეორის გაუზიარებლად განიზრახეს მიჯნურისათვის წინადადების მიცემა.

გოგონა ერთი იყო და როგორც პატოსნების ტექნიკური პირობები მოითხოვს, მხოლოდ ერთ მათგანს დაეთანხმა—ზაქროს. ნიკომ კი მხოლოდ ახლა შეიტყო, რომ ზაქროც, როგორც რომანისტები იტყვიან ხოლმე, ისრით იყო დაკოდილი და ისლა დარჩა, რომ ქორწილში რიგიანი დრო გაატარა.

მას შემდეგ ორი წელი გავიდა. ბევრმა წყალმა ჩაიარა, მრავალი დღე გათენდა, უამრავი ჰექტარი გადახნეს ბიჭებმა, მაგრამ მათ შორის აღწერის ღირსი ამბავი მხოლოდ ამას წინათ მოხდა.

საშემოდგომო ხენა რომ დაამთავრეს, სამანქანო-სატრაქტორო სადგურს ახალი გეგმა აღმოაჩნდა. ვინაიდან მიწის არსებული ფართობი არც

ხალხს ჰყოფნიდა და არც ტრაქტორისტებს, გადაწყვეტილი იყო ჯაგნარი ამოეყარათ და ახალი ასპარეზი დაეთმოთ დოლის პურისათვის.

ისხდნენ ბიჭები ტრაქტორებზე და საგანგებო გუთნებით ბოლოს ულებდნენ ასკილსა და ძეძვს, კვრინჩხსა და სხვა ასეთ ოხრობას. როგორც წესია, ნორმა ჰქონდათ მიცემული და მის შესრულებაში ხან ერთი იყო წინ, ხან მეორე. ბოლოს ზაქრომ აჯობა. აჯობა, მაგრამ ეს მოვლენა მუყაითობას რომ დავაბრალოთ, ნიკოს ნორმაში მოყოლილი ჯაგების ფესვები გაიცინებენ.

მაგრამ ჩვენთვის ახლა უფრო საინტერესოა ის მოვლენა, რომ ზაქროსა და ნიკოს კრებაზე დაუძახეს. აქ სხვა ტრაქტორისტებთან ერთად ხალხიც იყო თავმოყრილი და თავმჯდომარემ კრების მოწვევის მიზეზის ახსნის შემდეგ თქვა:

— ამხანაგებო, ჩვენ დებუტატებად უნდა დავასახელოთ მოწინავენი მოწინავეთა შორის. ჩემის აზრით, ყველას სურვილს გამოვხატავ, თუ დებუტატობის კანდიდატად დავასახელებ ამხანაგ ზაქროს!..

ამ სიტყვას, რასაკვირველია, ყველა ტაშით შეხვდა.

მაგრამ უნდა მოვახსენოთ, რომ ამ საღამოს შემდეგ ზაქრო და ნიკო ერთმანეთს კარგა ხანს აღარ შეხვედრიან.

მიზეზი საფუძვლიანი გახლდათ.

ზაქრო სადღაც გაცივებულიყო და გრიპმა არავითარი ობიექტური მიზეზი არ მიიღო, რამდენიმე დღით ლოგინი ალესვინა ჩვენს ზაქროს.

იწვა ზაქრო და სიტყვებ მეტად ის აწუხებდა, რომ მისი მეგობარი ნიკო არ გამოჩნდა, ავადმყოფი არ ინახულა. რანაირმა ფიქრმა არ გაუვლვა ზაქროს. იქნებ ჩვენი რომანის დროიდანვე მოსდევს შური და არ გამომიტყდა. შეიძლება ჩემი კანდიდატად წამოყენება შეშურდაო. ჩემზე ნაკლები მშრომელია, თუ რა, რატომ ის არ უნდა წამოყენებინათ კანდიდატადო. ფიქრობდა ზაქრო გუნებაში და არცა სჯეროდა.

ბოლოს ავადმყოფობამაც გაიარა. რამდენიმე დღით, მოჯობინებამდე სახლში ისვენებდა ზაქრო. ხვალ-ზეგ სამუშაოდ გასვლას აპირებდა, რომ კვლავ კრებაზე დაუძახეს, —ამომრჩეულებს უნდა შეხვედო.

შეხვდა ზაქრო ამომრჩეულებს და ისიც აღსანიშნავია, რომ ნიკოსაც აქ შეხვდა.

გამოვიდა ზაქრო ხალხის წინაშე და თავის ამბავს მოყვა. ილაპარაკა იმის შესახებ, თუ ვინ იყო იგი, როგორ შრომობდა, როგორ ცხოვრობდა. ბოლოს სახეზე მთლიანად გაწითლდა და თქვა:

— ამხანაგებო, ვიცი ობიექტურ მიზეზებს არ მიიღებთ, მაგრამ გულწრფელად უნდა გითხრათ, რომ ბოლო დროს შრომაში ჩემი ჩამორჩენის მიზეზი გახლდათ ავადმყოფობა. პირობას გაძლევთ, რომ გაცდენილი დღეების სამუშაო გაორკეცებული მუყაითობით აღვადგინო.

აქ კი ნიკომ ველარ მითმინა და ორი სიტყვა ითხოვა.

მან თქვა:

— ამხანაგებო, ზაქროს არასოდეს ტყუილი არ უთქვამს და ახლა კი ძალაუწებურად იცრუა. იგი არც ერთი წუთით არ ჩამორჩენილა, თავისი ნორმა გადაჭარბებით აქვს შესრულებული.

— როგორ, რანაირად?—იკითხეს ხალხიდან.

— როგორ და ეგ თუ ავად იყო, მე რას ვაკეთებდი, ძილს რას გამოვრჩებოდი. მთვარიან ღამეებში ჩემიც და მაგის ნორმა ჯაგნარიც ძირფესვიანად ამოვყარე. მხოლოდ ბოდიში უნდა მოვიხადო ზაქროსთან, რომ დრო ვერ ვიშოვე და მის სანახავად ვერ მივედი. რა მექნა, მეზობლებისაგან ვიცოდი, რომ ისეთი არაფერი უჭირდა.

ამ სიტყვებზე ყველას გაეცინა. ეს სიცილი, რასაკვირველია, სიხარულისა იყო და რაქომის მდივანმა დასასრულს თქვა:

— ამხანაგებო! ნიკოს მიერ შესრულებული ზაქროს ნორმა, როგორც არ უნდა „აჩუქს“ იგი, მართალია ზაქროს არ ჩეთელება, მაგრამ ჩვენ, მუყაითი შრომის გარდა, ზაქროს იმის გამოც ვირჩევთ დებუტატად, რომ ის ნამდვილად ჩვენებური ადამიანია და შეუძლია ჰყავდეს ისეთი მეგობარი, როგორიც ნიკოა!..

ნახ. გ. ლომიძისა



ინგლის-ამერიკის ურთიერთობის დამახინჯებელი ერთი მომენტი, — სათათბიროდ მოხული აჩეხონი. (კუთხეში მარჯვნივ, დამსხვრეული ლომის თავია, ეტლის თავი არ გეგონოთ).



გენერალი ხარინგი

ვიეტნამისკენ გაემგზავრა ინგლისის სახმელეთო ჯარების მთავარსარდალი შორეულ აღმოსავლეთში გენერალი ხარდინგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთებიდან

ნაზ. ვ. ლომიძისა



დაჯიქვნილობა რ ხართისნი

(მიხალკოვისებური)

ჭირაქაძე შუაგზაზე
ქორორაძეს აჩერებს,—
თავის ამბავს ეუბნება,
მაგრამ ველარ აჭერებს.

— ქორორაძევ, მეჭიბრები?
გამარჯვება ჩემია,
მომილოცე, მეგობარო,
მომილოცე პრემია!

— ბიჭოს!
როდის?
როგორ?
რისთვის?

თუ ასეა, გილოცავ!—
წარბი შეჭკრა ჭირაქაძემ:

— რატომ გიკვირს, შვილსა?!


გვაქვს სავარცხლის წარმოება,
განა ყორეს ვედებით—
შიდიონი გამოვუშვით
გეგმის გადაშეტებით!

შენ კი... აბა, კაცი შენგან
რალას უნდა ელოდეს,
სამსახურის საქმეებმა,
ვხედავ, გაგამედოტეს!..

— მე, —მედოტმა ქორორაძემ
უპასუხა მეგობარს:

— შენი კაი ბიჭობა და
პრემიებიც მეყოფა!

ბოლო თმას რაც შეეხება,—
გეტყვი გულის ტკენითა:
დამძერა შენგან დამზადებულ
ცუდი სავარცხელითა!



— ვიეტნამს მხნელ რომ მივაღიქ —
ვარ გენერალი ხარდინგი!..

— ო, ამას ახსნა რად უნდა,
ყველა ხედავს რომ ხარ დინგი!

დელი-ოდლიაგაქ


მურგან ლეგანძი

დევეუბანის მიღება


კვტო-გარდენა

АЛЕКСАНДРЕ ГАРДИНОВА
ВАСИЛАВЕСТ
НАДЖИ ТУК

თბილისი



გაპირდება მანქანა, გაქცევას ვაქცენბო* ნათქვამი და ეს არანა საე- სებით გამოარღვს თბილისის ფოსტის მუშაკებმა. მივცდით ლენა საბორტი ზენდ ვეიფარდს. მაგრამ სწორედ გაპირების დროს თუ ამდენს ვგაჩვენებ- ბენდ, ეს კი არ ვიციდით.



ზრობა

ამს წინათ, ქ. თბილისში, სანაპიროს ქ. № 6-ში მივყავი გარდაცვეცლა აღმქანტრე ქ-ლი. კრისთვლებმა დგუნა გამოვგებანეს: აღმქანტრე გარ- დეიდაცლა, ვასოფლებით ცხრაშო*, დგუნა სოფ. შრომის (ლავაფების რა) კოლ- მურბენების ბუნსაბორტის გვიორე კედავიშვილის მისანაპიროთ იყო გამოვგებ- ნილი.

აღვიღხე დგუნა ასეთი სახით მივიღეთ: აღმქანტრე გარდაცვეცლა ვ- სალდენით ცალქო*.

რადს იზამდნენ, კმა მისთვის შე დისთვისია* ნათქვამი, დატრია- ლდნენ მივყვები და ატრამანტინით გაუდგნენ გზას წაღვსაღვს. ბებერი ძმების მიცვალებული, მაგრამ ვერსად აღმოჩინეს.

კირია შივან გამაგრება ისე უნდა ვით კვითისალო*, ჩანსრთულეს იკ- ურმა ფოსტის მუშაკებმა ამაოდ დამაშურალო და გაგრძელდა გადარბენის მარ- შორეთი თბილისისძენ, მაგრამ ფინში არ შუმდგარა, ვინაიდან მიცვალებული უფად მიწისთვის მიგებარებინათ და კერისფუდალა მანქანებმა სასაღვლაოდან ბრუნ- ვებინდნენ!

ამა ნინაფი შვიდობა თუ არა კავშირგაბმულობის მუშაკების ეს სატ- რა შედგამა* ატრიადა-რბენდა მინდ ჩაგვიფალოს?!

ზარისპირაბანი ჩამონის რჩის



— რა ერთფეროვნად, მოხაწუნად შევიღებთ... სჯობდა აქა-იქ კედელი ხაზებით გავეხალსებინათ... მცირედი ბერი მაინც მივცეთ!



— ბიჭის! (მღებავი, უფო მიმალულია და შორიდან შემოს- ძახის!)—მეშო რა გვგოვანო, კიდევ იტყვიო, ზენო სიტყვის კაცო არ არისო?!

ვიზია?



საგურამოს იქით, არავეისთავზე გა- სურებული მოძრაობა: წითლ არ გვაგი, რომ მანქანამ არ გაიჭროსო. ცუხით მოძრაობის მათ უწავაღლებასაც არ აქტუენენ, თუალ შეუძლო ავიყო. მაგრამ თი, გამინდა ერთი ათვილ- მისხატეი ლაბანა*, მისაქტილის მო- სასვეთონ შებე ვაღვლე და მაშინვე კანთის საცანდ ვაღვიცო ეს.

— გელო, კარგ მანქანა, გეცო- მის? — შევითხა ერთი გუდამაყრელი თავის თანამზაფარს.

— საით მიქენის? მაშინაი ბებრ დაღის და ხეგნია და...

— აბაიეთ, აღარ ვასოსმა, ღინვალნი ძროხაი რომ ჩაგვიტანა?

— ის ცხო იყო, რათ იყო, რომ ცხო იყო?

— იმას თოლუბ თეთრონ ჰქონდა, ამას ყვეთელ ავიქ!

— რა ვციო, ისიც ლინიერ კი იყო და...

— ამისთანა ლინიერ როგორ იტენ- ბოდის? ვერ ხედავა, რა მსხვერ მო- რებ დადუწავეთ?

— შო, მაალუმ დაუღვია, მგზავრებიც ბლომათ უშოვავ შოღრისა!

— ზელ თბებცი უსხუნეს, ტომრებცი უღვეს, ჰაი, ჰაი, რომ ფული ვაჯურ- დების.

მანქანა ავი 03-17 მართლაც «მა- ლუმ დადებული» გინებით წამოვიწია მოკამათებეს. შოფერი გაუჩერა და ვადმისძახა:

— ჰა, ფეხით რას მიღსოსაღებთ? დასხედითროლა, კაცეო ოცი მანეთია...

— გააჩე, შენს მაღსა, თუშან გეცო- ფის!

— აბა, ბებრს ნუ ჰკვირებთო, «ტაქ- ცია» არ დაირღვევა.

გამართლ მუროზში მანქანა შე- კოუნდა. ამით ისარგებლა* შოფერის თავზე წამოსკუბებულმა თხამ, იშვირა ფეხი და ვადმოსძახა.

— დაივით, დაივით, არ გაუშ- ვით! — გაისმა პატრონის ძახილი, რომელიც გაპირვებით ჩამოხობდა და დავიდენა ბევისკენ გაქაუთლ- იხას.

— არიბა, დაივით! — ივილა შო- ფერმა, — დაივით, რაი მუშტარი მკვირგებთა!

იშვილეს ქელსება, უსწულ გაქცე- ულს რებე შექედნე, სგაქაქოქო და გელმასტენლო კეთინთ- ისეე მანქა- ნასთან მიათარეს.

შოფერი კოუნით ოვლის იწუნენდა და გუდამაყრელ «მუშტარეს» ცხუბე- ბოდეს:

— სულ თქვენი ბრალია თქვე ბე- ასლეთ, დამწყვეთ ვაჭრობა, გამაჩრეთ და იხა დამფორბეთ, კინალამ ზარა- ლი მაქვენი!

— ნუ ჯავრობო, თუშან გეცოფის, — ამშვიდებდა მოხევე.

— ვა, ერთი ამას უყურე და! აქ სოთუტრამისს* მანქანა ხომ არ გგო- ნია, იცი ვისია?

— მაგრამ მან ვეღარ დამთავრა, თუ ვისი იყო მანქანა ავი 03-17*, რადგან თხის აფეცა-მოთავსებაში შეშა ჩამო- ინტოლა და ახლა ამან გამოიწვია ჩო- ტოლა.

გუდამაყრელის ფეხით გაუღწენ აინანტის გზას.

— გელაუ: ვისი უნდა იყოს ეს მან- ქანი?


— არ ვი, ქალაქითი ჩამოსულია, აღ- ბათ შოფერს საშოვარ მუუნდა, თორი აქეთ შეშასა და თხა-ლორის ვინ გამა- ატანდის?

მგზავრების საუბარი ჩვენი ჩიტ-კო- რესპონდენტის ფოტოაპარატის ჩა- კუნმა დაარღვია.

იწენ მის მიერ ვადლებულმა სე- რათმა დაკმაყოფილოს ახირებულ მო- კამათეთა ცნობისმცყვეობა და გა- მორაკვილი:

— ვისია ავი 03-17*?

ზახანადანი



არედაპტორი ქარლ ქალაქმ. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, აკ. ბელაიაშვილი, ი. გრიაშვილი, უჩა ჯაფარიძე, ი. ნინეშვილი (რედაქციის მოადგილე), ლ. ფაშაიშვილი.

თბილისი. სატირიკო-იუმორისტული ჟურნალი «ნაიგი», რედაქციის მისამართი: რუსთაველის პირის ქ. № 42. ტელ. 3-10-69.

ბელაშვილ. დამს. 1950 წ. 2/111. სტამბა «ზარია ვოსტოკა» რუსთაველის პირის, № 42 ზღ. № 2868. გამოც. № 119. ტირ. 11,000. უფ. 7996

ავტო-გარბენა

„გაჭირვება მაჩვენე, გაჭიფეას გაჩვენებო“ ნათქვამია და ეს ანდაზა საესებით გაამართლეს თბილისის ფოსტის მუშაკებმა. მოგვცათ ლენა სპორტი ჩვენ გვიყვარდეს. მაგრამ სწორედ გაჭირვების დროს თუ ამდენს გვარბენინებდნენ, ეს კი არ ვიცოდით.



ამას წინათ, ქ. თბილისში, სანაპიროს ქ. № 6-ში მოყვარე გარდაგვეცვალა ალექსანდრე ჭ-ლი. კირისუფლებმა დეპეშა გამოგვიგზავნეს: „ალექსანდრე გარდაიცვალა, ვასაფლავებთ ცხრაში“. დეპეშა სოფ. შრომის (ლაგოდენის რ.) კოლმეურნეობის ბუხალტრის გიორგი ქადაგიშვილის მისამართით იყო გამოგზავნილი.

ადგილზე დეპეშა ასეთი სახით მივიღეთ: „ალექსანდრე გარდაიცვალა ვასაფლავებთ ცალკში“.

რალას იზამდნენ. „ძმა ძმისთვისა შავ დღისთვისაო“ ნათქვამია, დატრიალდნენ მოყვრები და ავტომანქანით გაუდგნენ გზას წალკისაკენ. ბევრი ეძებეს მიცვალეული, მაგრამ ვერსად აღმოაჩინეს.

ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა ვით ქვითკირსაო“, ჩასჩურჩულეს იქაურმა ფოსტის მუშაკებმა ამაოდ დამაშვრალთ და გაგრძელდა გარბენის მარ-შრუტი თბილისისკენ, მაგრამ ფინიში არ შემდგარა, ვინაიდან მიცვალეული უკვე მიწისთვის მიებარებინათ და კირისუფალთა მანქანები სასაფლაოდან ბრუნდებოდნენ!

ამხ. ნიანგო! შეიძლება თუ არა კავშირგაბმულობის მუშაკების ეს „პატარა შეცდომა“ ავტოგარბენად მაინც ჩაგვეთვალოს?!



ნახ. ა. კანდელაკისა

შუკისსპარდაბანი ჩამონვის დროს

ნახ. დონისა



— რა ერთფეროვნად, მოსაწყენად შეგიღებიათ... სჯობდა აქა-იქ კედელი ხაზებით გაგხალისებინათ... მცირედი პეწი მაინც მიგეცათ!

— ჯერ სველი გახლავთ, ბატონო, მოზრძანდით ზევ და პეწიც იქნება და ხაზებიცა!



— ზიჰოს!
(მღებავი, უკვე მიმაღულია და შორიდან შემოს-ძახის:)—მაშ რა გეგონათ, კიდევ იტყვიან, ბენო სიტყვის კაცი არ არისო!?

ვიტია?



საქართველოს
საბავშვო ჟურნალი



საგურამოს იქით, არაგვისთავზე გახურებული მოძრაობაა: წუთი არ გავა, რომ მანქანამ არ გაიქროლოს. ფეხით მოსიარულენი მათ ყურადღებასაც არ აქცევენ, თვალი შეჩვეული აქვთ.

მაგრამ აი, გამოჩნდა ერთი „თვალმისატაცი ლამაზი“, მისაქციელის მოსახვევთან მზეზე გაიღვდა და მაშინვე კამათის საგნად გადაიქცა ის.

— გელაუ, კარგ მაშინაია, გეცნობის? — შეეკითხა ერთი გუდამაყრელი თავის თანამგზავს.

— საით გეცნობის? მაშინაი ბევრ დადის ამ ხეჩია და...

— აბაიძე, აღარ გახსოვსა, ჟინვალჩი ძროხაი რომ ჩაგვიტანა?

— ის ცხო იყო.

— რაით იცი, რომ ცხო იყო?

— იმას თოლებ თეთრონ ჰქონდა, ამას ყვითელ აქვს!

— რა ვიცი, ისიც ღონიერ კი იყო და...

— ამისთანა ღონიერ როგორ იქნებოდის? ვერ ხედავა, რა მსხვილ მორებს დაუწყევავთ?

— ჰო, ძალუმ დაუდგია, მგზავრებიც ბლომათ უშოვავ შოფერსა!

— ზედ თხებიც უსხედს, ტომრებიც უდევს, ჰაი, ჰაი, რომ ფულჩი გაცურდების.

მანქანა „გი 03-17“ მართლაც „ძალუმ დადებულნი“, გმინვით წამოეწია მოკაბათეებს. შოფერმა გაუჩერა და გადმოსძახა:

— ჰა, ფეხით რას მილასლასებთ? დასხედით რაღა, კაცზე ოცი მანეთია...

— გააჩე, შენს მადლსა, თუმან გეყოფის!

— აბა, ბევრს ნუ კრიკინებთ, „ტაქცია“ არ დაირღვევა.

გამართულ ვაჭრობაში მანქანა შეეყოვნდა. ამით „ისარგებლა“ მორების თავზე წამოსკუპებულმა თხამ, იშვირა ფეხი და გადმოხტა.

— დაიკით, დაიკით, არ გაუშვავთ! — გაისმა პატრონის ძახილი, რომელიც ვაჭირებით ჩამოხობდა და დაედევნა ხვეისკენ გაქცეულ თხას.

— არიქა, დაიკით! — იკივლა შოფერმა, — დაიკით, ორი მუშტარი მეკარგება!

იშიშვლეს ქუდები, უყელეს გაქცეულს, რქებში სწვდნენ, „გაბაწრეს“ და გულამოსკენილი კიკინით ისევ მანქანასთან მიათრიეს.

შოფერი ქოშინით ოფლს იწმენდდა და გუდამაყრელ „მუშტრებს“ ეჩხუბებოდა:

— სულ თქვენი ბრალია თქვე ბედასლებო, დამიწყეთ ვაჭრობა, გამაჩერეთ და თხა დამიფრთხეთ, კინალამ ზარალი მაჩვენეთ!

— ნუ ჯავრობ, თუმან გეყოფის, — ამშვიდებდა მოხვევე.

— ვა, ერთი ამას უყურე და! აქ „სოიუზტრანსის“ მანქანა ხომ არ გგონია, იცი ვისია?

მაგრამ მან ვეღარ დაამთავრა, თუ ვისი იყო მანქანა „გი 03-17“, რადგან თხის აყვანა-მოთავსებაში შეშა ჩამოინგრა და ახლა ამან გამოიწვია ჩოჩქოლი.

გუდამაყრელები ფეხით გაუდგნენ ანანურის გზას.

— გელაუ, ვისი უნდა იყოს ეს მანქანაი?


— არ ვი, ქალაქჩიით ჩამოსულია, ალბათ შოფერს საშოვარ მაუნდა, თორა აქეთ შეშასა და თხა-ლორს ვინ გამაატანდის?

მგზავრების საუბარი ჩვენი ჩიტ-კორესპონდენტის ფოტოაპარატის ჩხაკუნმა დაარღვია.

იქნებ მის მიერ გადაღებულმა სურათმა დააკმაყოფილოს ახირებულ მოკამათეთა ცნობისმოყვარეობა და გამოარკვიოს:

— ვისია „გი 03-17“?

ზარსადანი



რედაქტორი კარლო კალაძე. სახელაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, აკ. ბელიაშვილი, ი. გრიშაშვილი, უჩა ჯაფარიძე, ი. ნონეშვილი (რედაქტორის მოადგილე), ს. ფაშალიშვილი.

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Няниги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტელ. 3-10-49.


ხელმოწ. დასაბ. 1950 წ. 2/XII. სტამბა „ზარია ვოსტოკა“ რუსთაველის პროსპ. № 42, შეგ. № 2838. გამოც. № 119. ტირ. 11.000. შე 17926



დოლარს ვადნობდით, ვფიქრობდით:
ზარი გვექნება, რა ზარი!



ზარს ჩვენი ვნაც ავუბით,
ენა ხომ იცით რაც არის




გება გემით წავიდეთ
მძიმე და უზარმაზარი,



ზეიმით გადავატარეთ
ევროპის დუქან-ბაზარი.



დიდი იმედით ნაჭედი,
აჰა, ზერღისის საფხ არი...



მაგრამ დავრეკეთ თუ არა,
ჩვენ თვითონ დავცვა თავზარი!

ვლადიმერ შიგრიანული